



gazeTi gamodis  
1931 wl is 5 ianvridan

# კ ლ ი ნ ი

ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ - პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი გ ა ზ ე თ ი

ყოველკვირეული გამოშვება  
ფასი 20 თეთრი

## ვანო მერაბიშვილი პრემიერ-მინისტრად დაინიშნა



მიერისაგან, ნოლიადელიდან დაწყებული და გილაური და მთავრებული, იმით განსხვავდება, რომ ისინი უსახური პირები და უსახური პოლიტიკოსები იყვნენ, ხოლო მერაბიშვილი ძლიერი პოლიტიკური ფიგურაა. ცინცადის პროგნოზით, შესაძლოა, „ნაცმოძრაობა“ პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობით არა, მაგრამ მაინც უმრავლესობით მოვიდეს, ხოლო „ქართული ოცნება“ სოლიდურად იქნება წარმოდგენილი, ქვეყნის პირველი პირი კი ვანო მერაბიშვილი იქნება.

შაბათს, საღამოს, საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა პრეზიდენტის სასახლეში გააკეთა განცხადება ქვეყნის პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე ივანე მერაბიშვილის დანიშვნის შესახებ.

ვანო მერაბიშვილი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2004 წლის 31 დეკემბრიდან 2012 წლის 30 ივნისამდე ხელმძღვანელობდა, ხოლო ნიკოლოზ გილაური პრემიერად 2009 წლის 6 თებერვალს დაინიშნა.

– „თუ გავითვალისწინებთ, რომ წლების განმავლობაში სააკაშვილის ხელისუფლების ძალაუფლების ცენტრი კონცენტრირებული იყო „ძალოვან სისტემაში, მერაბიშვილის პრემიერობის გადაწყვეტილება მოულოდნელი არ ყოფილა. მერაბიშვილი ისედაც ასრულებდა ამ ფუნქციას და ყველაფერს თავისი სახელი ოფიციალურად დაერქვა.“ – ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის ლიდერმა გიორგი თარგამაძემ განუცხადა.

მანვე უმართებულოდ მიიჩნია შეფასებები, თითქოს ამ დანიშვნით სააკაშვილი უნდობლობას უცხადებს მერაბიშვილს და გამოთქვა ვარაუდი, რომ მერაბიშვილი ალბათ იქნება „ნაციონალური მოძრაობის“ საპარლამენტო სიის პირველი ნომერი.

– „პრემიერ-მინისტრად ვანო მერაბიშვილის დანიშვნით არჩევნების შემდეგ ქვეყნის მომავლის პირველი პირის, ანუ პრემიერ-მინისტრის ვინაობა გამოიკვეთა. მან ქვეყანაში გამართული საპატრულო პოლიციის შექმნით დაამტკიცა, რომ ბუტაფორული ფიგურა კი არა კარგი მენეჯერია.“ – განუცხადა „ინტერპრესნიუსს“ ექსპერტმა სოსო ცინცაძემ.

მისივე აზრით, იმის გათვალისწინებით, რომ მერაბიშვილი ძლიერი პოლიტიკოსია და ჯანსაღი პოლიტიკური ამბიციები აქვს, პრაქტიკულად გამორიცხულია, რომ იგი ბუტაფორული პრემიერ-მინისტრი იყოს და, რუსეთში მედვედევის მსგავსად ქვეყნის პირველი პირის თანამდებობა ვინმეს სამი ან ექვსი თვით შეუნახოს. ვანო მერაბიშვილი ავანტიას გარდაცვალების შემდეგ ყველა პრე-

– პრემიერ-მინისტრის შეცვლის შემთხვევაში, ქვეყნის მთავრობა გადაყენებულად ითვლება, – ამის შესახებ მთავრობის საპარლამენტო მდივანმა ვია ხუროშვილმა განაცხადა და მისივე თქმით, პრემიერ-მინისტრის შეცვლის დროს ახალ მინისტრთა კაბინეტს და ახალ სამთავრობო პროგრამას პარლამენტმა ნდობა უნდა გამოუცხადოს.

საქართველოს მთავრობის ახალი შემადგენლობა დღეს გახდება ცნობილი.

საქართველოს პრეზიდენტის განცხადებით, მთავრობა 2 ივლისს საქართველოს პარლამენტს ახალ პროგრამას და ვანო მერაბიშვილი მთავრობის ახალ შემადგენლობას დასამტკიცებლად წარუდგენენ.

შსს მინისტრის პოსტზე ბაჩო ახალაიას და დიმიტრი შაშკინის კანდიდატურები სახელდება. შსს მინისტრად ბაჩო ახალაიას დანიშვნის შემთხვევაში თავდაცვის უწყებაში მას უშიშროების საბჭოს მდივანი ვიკა ბოკერია შეცვლის.

რაც შეეხება „ჩამოლაბორანტებულ“ ნიკა გილაურს პრეზიდენტმა მას შესთავაზა სათავეში ჩაუდგეს მთავრობის საპარტნიორო ფონდს, რომელიც კონცენტრირებული იქნება ინვესტიციების მოზიდვაზე, ახალი პროექტების შექმნაზე, ინფრასტრუქტურის, ენერგეტიკის და სოფლის მეურნეობის სფეროში.

– „ჩემი მიზანი იქნება, მეტი სარგებელი ხალხს. დადგა დრო, რომ საქართველოში ჩვენი განვითარების, მოდერნიზაციის, ყველა იმ მიღწევის შედეგი იგრძნოს თითოეულმა ქართველმა“.

მერაბიშვილის თქმით, ის ორშაბათს წარმოადგენს გეგმას, სადაც იქნება გაწერილი, რას გააკეთებს მთავრობა დღეს, ხვალ და უახლოეს წლებში. ეს არის წლების მიხედვით გაწერილი გეგმა, რომელიც სამ პრინციპზეა აგებული. ეს არის: დასაქმება, სოფლის განვითარება და ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა.

მისივე თქმით, ის ყველაფერს გააკეთებს, რომ სოფელი განვითარდეს და გლეხი გაძლიერდეს, ჯანდაცვა იყოს ყველასათვის ხელმისაწვდომი და დაამარცხოს ქვეყნის მთავარი გამოწვევა – უმუშევრობა.

მოზადებულია „ინტერპრესნიუსის“ და

## ოზურგეთის განათლების მინისტრის მოადგილე სტუმრობდა

მარი კოპოშვი

განათლების მინისტრის მოადგილე, ნოდარ სურგულაძე ოზურგეთის სტუმრობდა. სურგულაძე გრიბოდოვის ქუჩის მოსახლეობას შეხვდა. თუმცა შეხვედრას მარტო გრიბოდოველები არ ესწრებოდნენ. მინისტრის მოადგილეს ოზურგეთის ქალაქსა და სხვადასხვა სოფელში მცხოვრები სახელმწიფო სამსახურებში დასაქმებული პირებიც დახვდნენ.



შეხვედრას ესწრებოდნენ ოზურგეთის გამგებელი, ილია ვაშაყმაძე, საკრებულოს თავმჯდომარე, ალექო მამეშვილი და საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი, ირინა ინარბიძე.

მინისტრის მოადგილემ სამინისტროს მიერ გატარებულ რეფორმებზე, განხორციელებულ პროექტებზე და სამომავლო გეგმებზე ისაუბრა.

სურგულაძის თქმით, მიმდინარე წელს ქვეყნის მასშტაბით 40 სკოლა შენდება და 60 რემონტდება. ისაუბრა სასკოლო სახელმძღვანელოებზე. თქვა, რომ ამიერიდან სახელმძღვანელო ხუთ წელიწადში ერთხელ

შეიცვლება და საქართველოში გამოცემული არცერთი წიგნის ფასი ათ ლარს არ გადააჭარბებს. „სისტემის ერთ-ერთი-წარმატება ის არის, რომ შექმელით წინა წლებისაგან განსხვავებით სკოლა გამხდარიყო უსაფრთხო, ეს მანდატურების დახმარებით მოვახერხეთ“ თქვა სურგულაძემ.

მინისტრის მოადგილის თქმით, მომავალ წელს სკოლების მშენებლობისა და რემონტისთვის 100 მილიონი ლარი გამოიყოფა.

## ბია ტაკიძე პატიმრობიდან გაათავისუფლეს

ოზურგეთის ყოფილი გამგებელი ვია ტაკიძე პატიმრობიდან 29 ივნისს გაათავისუფლეს. 1 ივლისს ყოფილი გამგებელი სოფელ ნატანებში, საკუთარ სახლში ალიონმა „მოინახულა“.



ვია ტაკიძე ქრთამის ალბის ბრალდებით გასული წლის აგვისტოში დააკავეს. შემდეგ მასთან საპროცესო შეთანხმება გაფორმდა.

## გიორგი სალუქვაძის ფესტივალი

წელს, უკვე მესამედ გიორგი სალუქვაძის ფესტივალ-კონკურსი ჩატარდა. ფესტივალი ორ დღიანი იყო. კონკურსი პირველ დღეს დაბა ურეკის კულტურის სახლში ჩატარდა, და მეორე დღეს ოზურგეთის ალ.წუწუნავას სახელობის სახელმწიფო თეატრში გაგრძელდა.



მეორე საკონკურსო კონცერტის დაწყებამდე ოზურგეთის ქუჩებში მოცეკვავეების საზეიმო მსვლელობა-ალღუმი მოეწყო.

ფესტივალში სულ 23 ანსამბლი მონაწილეობდა. ანსამბლები იყვნენ როგორც საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან, ასევე სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან.

კომპეტენტურმა ჟიურიმ არჩევანი გააკეთა. გრან-პრი სამ ანსამბლს ერგო. ოზურგეთის „ფესვებს“, „ზენაარს“ და ფოთის „ფაზისს“.


## 7 დღის ამინდის პროგნოზი

	კლიმატი წვიმა +15+25		კლიმატი წვიმა +15+24		წვიმა +17+26		მცირე წვიმა +20+29		ელ-ჭმბი +18+25		მზა +19+26		მზა +20+27
2 ივლისი ორშაბათი		3 ივლისი სამშაბათი		4 ივლისი ოთხშაბათი		5 ივლისი ხუთშაბათი		6 ივლისი პარასკევი		7 ივლისი შაბათი		8 ივლისი კვირა	



# ინგლისის ელჩი ოზურგეთში

მარი კომოვოვი



გასულ კვირას ოზურგეთში, ინგლისის სრულუფლებიანი

ელჩი საქართველოში ვუდიტ გოფი იმყოფებოდა. იგი ჟურნალისტებს და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს საია-ს ოზურგეთის ოფისში შეხვდა.

ქნი ელჩი დაინტერესდა, თუ როგორ შეიცვალა პოლიტიკური ვითარება ოზურგეთში „ქართული ოცნების“ ლიდერის ბიძინა ივანიშვილის გამოჩენის შემდეგ.

ადგილობრივი ჟურნალისტები ელჩს იმ პრობლემებზე ესაუბრნენ, რითაც ხელი ეშვებათ მუშაობაში. ერთ-ერთ ასეთ მიზეზად მათ ხელისუფლების მიერ საშუალო სისტიმის შემოღება და პრესსამსახურების ცუდი მუშაობა დაასახელეს.

ჟურნალისტები დაინტერესდნენ, თუ როგორ მუშაობენ პრესსამსახურები ინგლისში და რა განსხვავებაა ბრიტანულ და ქართულ პრესსამსახურებს შორის.

აღინიშნა, რომ ბრიტანელებისაგან განსხვავებით, საქართველოში უფრო ცუდად მუშაობენ პრესსამსახურე-

# ეთიკის ქარტიის შესვენებაზე

ნუგზარ ასათიანი



გასულ პარასკევს, ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში საქართველოს ეთიკის ქარტიის გამსვლელი შეხვედრა გაიმართა.

ეთიკის ქარტიის თავმჯდომარე ზვიად ქორიძემ ქარტიის მიზნებსა და გაწეული მუშაობის შესახებ ესაუბრა დარბაზში შეკრებილ საზოგადოების წარმომადგენლებს.

რას მოითხოვთ ჟურნალისტებისაგან, იცავთ თუ არა ისინი ეთიკის ნორმებს? ზვიად ქორიძის თქმით, ამჟამად ეთიკის ქარტიის ხელმოწერი 200-მდე ჟურნალისტი, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, ვინც არ მოაწერა ქარტიას ხელი, მის პრინციპებს

უკუღებულებს, ან პირიქით. ეთიკის საბჭო ეთიკის ქარტიის პრინციპების დამრღვევ ჟურნალისტის მიმართ შეტანილ საჩივარზე რეაგირებს, მაგრამ ეს რეაგირება საჩივრის განხილვაა.

დარბაზში მყოფმა მედიკურის საჯარო სკოლის ყოფილმა დირექტორმა ნათელა თოხაძემ აღნიშნა, რომ მას როცა პრობლემები შეექმნა მხარში დაუდგინენ ადგილობრივი მედიის წარმომადგენლები. ხოლო ჟურნალისტმა გონა ჭანიშვილმა აღნიშნა, რომ მას შემდეგ, რაც გაზეთ „ალიონში“ მისი სტატია „დამნიების პოლიტიკა, განახლებული მეთოდი“ დაიბეჭდა (30.VI, 2009წ.) გაზეთის ფინანსური სანქცია დაადეს და თითქმის დასურვამდე მიიყვანეს, რაც იმაზე მიუთითებს, თუ როგორი ზეწოლის ქვეშ უწევთ ადგილობრივ ჟურნალისტებს მუშაობა.

ეთიკის ქარტიის საბჭოს წევრებმა, გაზეთ „გურიათის“ რედაქტორმა ია მამალაძემ, მაუწყებელთა ასოციაციის თავმჯდომარე ნათია კუპრეიშვილმა, „ნეტგაზეთის“ რედაქტორმა მია მეცხვარიშვილმა, „მედიაგე“-ს რედაქტორმა დავით მჭედლიძემ და კახეთის საინფორმაციო ცენტრის წარმომადგენელმა გელა მთილიშვილმა საინტერესოდ წარმოადგინეს ქარტიის საქმიანობა.

ჟურნალისტმა ლილი გოგუაძემ გამოთქვა აზრი, რომ ადგილობრივმა ჟურნალისტებმა მეტი პრინციპულობა და ობიექტურობა უნდა გამოიჩინონ თემების გაშუქებისას.

# ნარკომანიასთან ბრძოლის დღეს მიემდგინება

26 ივნისს, ქ. ოზურგეთში, ნარკომანიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, პროექტ „საზოგადოებრივი პროკურატურის“ ფარგლებში, ოზურგეთის რაიონული პროკურატურის ორგანიზებით, ოზურგეთის საჯარო სკოლების უფროსკლასელების, პროფესიული სასწავლებლის მოსწავლეების, საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის თანამშრომლების, პრობაციონერების მონაწილეობით მოეწყო მსვლელობა. კერძოდ მეორე საჯარო სკოლასთან შეკრებილი მოზარდები ანტინარკოტიკული

ტრანსპარანტებით გაემართნენ ოზურგეთის ცენტრის მიმართულ-ებით, სადაც ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიასთან დაწვეს ერთჯერადი მოხმარების შპრიცები. აღნიშნული მსვლელობით მოზარდებმა მხარი დაუჭირეს ჯანსაღი ცხოვრების წესს და კიდევ ერთხელ გამოხატეს თავიანთი ნეგატიური დამოკიდებულება ნარკომანიისადმი.

პროექტ „საზოგადოებრივი პროკურატურის“ ფარგლებში, ოზურგეთის რაიონული პროკურატურა გააგრძელებს მსგავსი ხასიათის ღონისძიებების მოწყობას.

# ბიძინა ივანიშვილი - არ არსებობს წინააღმდეგობა, რომელიც მე შემაჩერებს

არ არსებობს წინააღმდეგობა, რომელიც მე შემაჩერებს, ჩვენ შეგვაჩერებს, - ამის შესახებ "ქართული ოცნების" ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა გუშინ „მცხეთაში“ გამართულ აქციაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

"რადგან ერთად ვართ, ჩვენ ვერავინ გვაჯობებს. არაფერი გამოუვათ, სიტყვას გაძღვეთ. მე სიტყვის გატეხა არ მჩვევია!", - მიმართა ივანიშვილმა მხარდამჭერებს. მისი თქმით, 27 მაისს "ქართულმა ოცნებამ" თბილისით დაიწყო, ახლა კი პროცესებმა შეუქცევადი ხასიათი მიიღო და შეუძლებელია პროცესების შეჩერება, მით უფრო, ამ პროცესების შემობრუნება.


ივანიშვილმა ხაზი გაუსვა, რომ ხელისუფლებამ რაც არ უნდა დაგეგმოს, რაც არ უნდა მოიმოქმედოს, ეს ბრძოლა აუცილებლად ბოლომდე მივა და "ქართული ოცნების" გამარჯვებით დასრულდება.



ერთად დგომით აუცილებლად მივალწევთ წარმატებებს. გაბრძობით, ამ ბრძოლაში ბოლომდე ვიდგები თქვენს გვერდით, ჩვენ ერთმანეთის გვერდით ვიდგებით, ვიდგებით გამარჯვებამდე! ჩვენ გვწამს და მტკიცედ გვჯერა, რომ გავიმარჯვებთ არჩევნებში, ქართველი ხალხი გამარჯვებს, საქართველო გამარჯვებს, ჩვენ ერთად შევქმნით უკეთეს მომავალს და ერთად ავისრულებთ ქართულ ოცნებას", - განაცხადა ივანიშვილმა მცხეთაში სიტყვით გამოსვლის დასასრულს.

ipn.ge

# ღვაწლმოსილი



შეიძლება უჩვეულოდ მოეჩვენოს ყველას, მაგრამ ჩემს საგაზეთო წერილში ცოტად თუ ბევრად მაინც მინდა აღვნიშნო, ჩემი უფროსი დის, ღვაწლმოსილი პედაგოგის, აწვარდაცვლილი, ქალბატონ ფლორენცია მამუ-ლაიშვილის და მისი მეუღლის, გამოცდილი სამეურნეო მუშაკისა და კარგი მეოჯახის აწვარდაცვლილი ბატონ ტიტე პაპავას შესახებ.

ქალბატონმა ფლორენციამ II მსოფლიო ომის პერიოდში წარმატებით დაამთავრა მაშინდელი პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტი და სოფელში დაბრუნდა. რადგანაც ადგილზე მასწავლებლის თავისუფალი ადგილი არ იყო, კოლმეურნეობის მამ-ინდელმა თავმჯდომარემ, ახალგაზრდობის დიდმა მეგობარმა თეოფილე კვაჭაძემ, იგი შვი-ლივით მიიღო და კოლმეურნეობის აპარატში

მდივნად დააწვებინა მუშაობა. ამ პერიოდში ერთ-ერთ ბრიგადას საშუალო სპეციალური განათლების მქონე, მოწინავე ახალგაზრდა ტიტე პაპავა ხელმძღვანელობდა. მათ შეუყვარდათ ერთმანეთი და კიდევ შეერთდნენ.

ექვსი წლის შემდეგ სოფელში დაწვებითი სკოლის გამგე-მასწავლებლის ადგილი გამოთავისუფლდა და ქალბატონი ფლორენცია ამ ადგილზე დაინიშნა. მან ამ თანამდებობაზე 25 წელი იმუშავა. შემდგომში, როცა დაწვებითი სკოლა საშუალო სკოლას შეუერთდა, იგი იქ გადავიდა საშუალოდ. მიუხედავად იმისა, ისტორიის სპეციალისტი იყო, პატარების სიყვარულმა კვლავ დაწვებითი სკოლაში დააწვებინა მუშაობა.

60 წელზე მეტი ხნის განმავლობაში იღვწოდა სკოლაში ქალბატონი ფლორენცია, ვინ მოთვლის, ამ ხნის განმავლობაში რამდენ პატარას ჩაუნერგა სწავლა-განათლების სიყვარული, რამდენი დააფრთიანა და დააყენა ცხოვრების გზაზე. მისთვის არ არსებოდა „სხვისი შვილი“, „მისი თანმდევი სიტყვები იყო, - „შვილო, ნენა“ და მართლაც დედაშვილურად ექცეოდა ყველას, ამიტომაც იყო, რომ უსაშველოდ უყვარდა და დიდსა თუ პატარას, მასწავლებელსა და მშობელს.

ქალბატონი ფლორენცია წლების განმავლობაში იყო მასწავლებელთა მეოთხეაერთიანების საბჭოს წევრი. დაჯილდოებული იყო განათლების სამინისტროს საპატიო სიგელით.

ბატონ ტიტეს შესახებ შეიძლება ითქვას, იგი იყო უნარიანი, ინიციატივიანი კაცი. მის უბანში (ჭანიეთური) მისი სახელი დაკავშირებულია ამ უბნისათვის მეტად საჭირო ობიექტების გახსნასთან.

II მსოფლიო ომის პერიოდში აქტიური


მუშაობისათვის ბატონი ტიტე და ქალბატონი ფლორენცია დაჯილდოებული იყვნენ მედლებით.

ქალბატონ ფლორენციას და ბატონი ტიტეს ცხოვრებას დიდი ტკივილიც ახლდა. 10 წლის ასაკში ტრაგიკულად დაეღუპათ უმცროსი ვაჟი-როსტომი. შემდგომში ძალიან ახალგაზრდა ასაკის სიძეები (შვილის მეუღლეები) -თამაზ ზაქარაძე, -კოლმეურნეობის მთავარი აგრონომი და ომარ ივანატიევი, ასევე საპატიო და კაცური კაცი. მაგრამ ისინი სულ-ლით არ დაცემულან, უდიდესი სიყვარულით უვლიდნენ შვილებს, შვილიშვილებს. ერთი ხნისა იყვნენ და თითქმის ერთდროულად გარდაიცვალნენ. დღეს ისინი 90 -წლისა იქნებოდნენ.

შვილებიც საამაყო ჰყავდათ: უფროსმა ქალიშვილმა ცირამ საქართველოს სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტი დაამთავრა და მრავალი წელი წრმატებით მუშაობდა მცენარეთა დაცვის აგრონომად. არჩეული იყო საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. ჰყავს ოთხი შვილი და ხუთი შვილიშვილი.

მომდევნო ვაჟმა-მურადმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი დაამთავრა და წლების მანძილზე მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობებზე, მათ შორის რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების იურისტ-ინსპექტორად. ბატონ მურადს და ქალბატონ ციცოს სამი შვილი და ორი შვილიშვილი ჰყავთ. უმცროსი -ნატო საოჯახო ბიზნესითა დაკავებული. ჰყავს ოთხი შვილი და ოთხი შვილიშვილი.

ყოველთვის სანიმუშო და კარგი სანახავი იყო ქალბატონ ფლორენციას და ბატონ ტიტე პაპავას



ოჯახი. აქ ყოველთვის იყო მოწყობილი და ყოველთვის მუშაობდა ე.წ. „ღვლის წისქვილი“, ულევო ჰქონდათ სიმინდი, ღვინო, არაყი და რაც მთავარია, ეს იყო მთელს სოფელში ცნობილი უსაშველოდ პურმარილიანი ოჯახი. მეგობრებთან, მეზობლებთან ერთად ხშირად სტუმრობდნენ გაბო ვასაძე (სიძე, დის ქმარი), თეოფილე კვაჭაძე, ლეონიდე მახარაძე, ვასო ჯაბუა, სერგო ჩხაიძე და სხვა ცნობილი პიროვნებები.

დიდებული ოჯახის ტრადიციებს დღეს ღირსეულად აგრძელებენ მათი ვაჟი მურადი და რძალი ციცო, რომლებიც ყველანაირად ცდილობენ, ოდნავი ჩრდილი არ მიაყნონ სახელოვანი ადამიანების სახელებს.

მათ სახელებს დავიწყება არ უწერია.

ამირან მამულაიშვილი.



### „ლურჯი იალქანი“ ნიჭიერში



ოზურგეთის მუნიციპალური კულტურის

ცენტრთან არსებული ჯგუფი „ლურჯი იალქანი“ რუსთავი ორის პროექტ „ნიჭიერის“ ფინალში მონაწილეობდა. ჯგუფმა მაცურებელთა ხმების 14,1% მიიღო და მეორე ადგილზე მოხვდა.

„ლურჯი იალქანი“ ბარამბოს რჩეული გახდა და კომპანიისგან საჩუქრად 5 000 ლარი მიიღო. ასევე საქართველოს ბანკისგან ისევე როგორც პროექტის ყველა მონაწილეს, გადაეცათ 10 000 ლარი.

პროექტის გამარჯვებული მხატვარი ნონა გიუნაშვილი გახდა.

## სოკრატ სალუქვაძე

გარდაიცვალა დირსეული მამულიშვილი, ფარმაცევტულ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, ეროვნული უნივერსიტეტის პროფესორი, ფაზისისა და ეროვნული აკადემიების ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი **სოკრატ სალუქვაძე**.

იგი 1935 წლის 10 მაისს დაიბადა სოფ. ლისაურში. მამა ადრე გარდაეცვალა და ობლობასა და სიღარიბეში მოუწია ცხოვრების გზის გაკვლევა. წარმატებით დაამთავრა სოფ. ლისაურის საშუალო სკოლა და მისაღები გამოცდები ჩააბარა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ფარმაცევტულ ფაკულტეტზე. ბიოქიმიის დარგის სპეციალისტად დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტი. მუშაობდა ჯერ ქ. ფოთში, შემდეგ ქ. თბილისში №27 აფთიაქის გამგეპროვიზორად, შემდეგ ქ. თბილისის №1 აფთიაქის მმართველად, სადაც მან წამლთმცოდნეობის უნიკალური მუზეუმი ჩამოაყალიბა.


სოკრატ სალუქვაძეს დიდი წვლილი მიუძღვის ეროვნული წამლთმცოდნეობის და მედიცინის ისტორიის კვლევა-ძიებაში, რასაც მან ათეული წლები მონაწილეობდა. ბოლო წლებში კი ახალი შემოქმედებითი მოსაზრებებით გაამდიდრა საეკლესიო სამკურნალო ხელოვნება და ბევრი საინტერესო სიახლეები გამოაშუქა, რომელსაც 70 წლის მანძილზე კომუნისტური მთავლიტი, ცენზურა, ტაბუს დადებით მკაცრად კრიტიკავდა.

პროფესორმა სოკრატ სალუქვაძემ თეოლოგიისა და ლიტურგიკის ისტორიაში პირველმა შეამჩნია ქართული კულტურის ძეგლებზე სამკურნალო მცენარეებისა და „სიცოცხლის ხის“ გამოსახვის ფაქტები და ამ მნიშვნელოვან სიახლეს თავის ფუნდამენტურ მონოგრაფიაში, ჯერ კიდევ 1987 წელს ჯეროვანი ადგილი მიუძინა. მალე ბერლინში, გერმანულ ენაზე გამოვა ეს საინტერესო გამოკვლევა და მოსაზრებებს საერთაშორისო რეზონანსი მიუცემს.

აკადემიკოსი ბააკო რაჭველიშვილი ბატონ სოკრატ სალუქვაძეს „აზრზავრიელის“ და „ხელზავრიელის“ ეპითეტით აქობდა და მისივე თაოსნობით დაისტამბა საკმაოდ სექულტარული მონოგრაფია სათაურით: „წამლთმცოდნეობის მეცნიერული მოსაზრებანი, ანუ ვინ არის სოკრატ სალუქვაძე“.

მეცნიერის სიცოცხლეში მორიგი ნაშრომის „ხუცტად ადვანსონით ჯვარ-ხატობის ზეიმი დღესასწაული – 30 ივლისი.“ მხოლოდ სასიხარულო ვეზემლარის გამოსვლას მოეწყო. ამ ნაშრომის რედაქტორი, აკადემიკოსი ნუგზარ ნადარაია წერს: „მხოლოდ ეროვნული წამლთმცოდნეობის ისტორიის მკვლევარი არ გახლდათ ბატონი სოკრატე. რა თქმა უნდა მისი ფუნდამენტური მონოგრაფია, რომელიც საქართველოს წამლთმცოდნეობის ისტორიას და მასთან დაკავშირებულ საკითხებს ეხება, ყამირზე პირველი ხნულის გავლენის ტოლფასია საქართველოს ეროვნული ისტორიოგრაფიაში. მართლაც ის ფაქტი რად ღირს, რომ ამ მონოგრაფიის გამოცემამდე საქართველოს წამლთმცოდნეობის ისტორიის საკითხებში სხვა ავტორ-მკვლევარი, საერთოდ არ ჩანდა და არც მის შემდეგ ჩანს, რომელიც მას გვერდს უნდა უშეწყნებდეს(!)...

მართლაც მოუსვენარმა ავტორმა, გერმანიიდან გამოიწერა ქართული კულტურის დიდი მოამაგის, პროფ. კურტ შპრენგელის პირველი ტომის პირველი ქვეთავის – „უბელესი კოლხური მედიცინის“ 13 გვერდი და თავის მონოგრაფიაში დიდი ვეროპელი მეცნიერის მოსაზრებები ქართულად თარგმნა და თავისივე კომენტარებით გააცნო ქართველ მკითხველს, რომლისთვისაც 1792 წლიდან 1987 წლამდე ვერაფერი მოიკლა. ამ მიზეზის გამო ქართველი მკითხველი მოკლებული იყო იმ მოსაზრებებს, რომელიც მსოფლიო მედიცინის ისტორიაში პროფ. კ. შპრენგელის მიხედვით,



„უბელესი კოლხური მედიცინის“ იწყება. ამ კონცეფციაზე დაყრდნობით ავტორმა, პროფ. სოკრატ სალუქვაძემ ჯერ კიდევ 1977 წელს გამოთქვა მოსაზრება პირველად ქართველ მკვლევართა შორის, რომ მკურნალობასთან დაკავშირებულ საქმანობას „მედიცინა“ რომ ეწოდება. ეს ტერმინი ანალოგიური ფაქტების შედარებით ანალიზის მოშველიებით მეცნიერულად დასაბუთა, რომ მედიცინა მედებს სახელს უკავშირდება ეტიმოლოგიურად და ამ საკითხის გარკვევაში პროფ. სოკრატ სალუქვაძე ქართველ მეცნიერთა შორის პირველი მეცნიერია და მას მოხარე ამ საკითხის გარკვევაში არაფერ ჰყავს(!) ხოლო გაშხარებული მისი მოსაზრებებისა და აზიარებული ბერია არა მარტო ქართველთა შორის, არამედ ერთ-ერთ უცხოურ ჟურნალში ამ საკითხის მხარდამჭერი სტატია დაიბეჭდა გერმანულ, ინგლისურ ენებზე...

ბატონ სოკრატ სალუქვაძისგან მკითხველები და ჩვენ კიდევ ბევრი სახელის წარმოჩენას ველოდებით. თუნდაც ის ფაქტი, რომ მისი ავტორობით 15 მონოგრაფია გახლავთ გამოცემი და რაც მთავარია, ბატონი სოკრატ სალუქვაძე წამლთმცოდნეობის და მედიცინის ისტორიის საკითხების მუსლიმურული პროპაგანდისტთა საერთაშორისო არენაზე, მან ჩვენი დიდი სამედიცინო კულტურა გააცნო პროგრესულ კაცობრიობას და მისი შრომები ამერიკის შერთებული შტატების ჟურნალშიც იქნა გამოქვეყნებული, რომლებიცაც ავტორმა ბევრი სასარგებლო ქულა მოაგროვა არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. ავტორის კრედა ეროვნული წამლთმცოდნეობის ისტორიის სიძველე და ფესვები გააცნოს პროგრესულ კაცობრიობას.“

ცალკე თემა სოკრატ სალუქვაძის ბოლოდროინდელი გამოკვლევა შოთა რუსთველის მშობლების შესახებ. პოეტის ფრესკასა და ქარაგმის მიხედვით, მკვლევარი ამტკიცებდა, რომ გენიალური პოეტი გამრეკელ თორელისა და კრავი ჯაყელის ვაჟი იყო.

სოკრატ სალუქვაძეს დიდი ურთიერთობები აკავშირებდა ქართული საზოგადოების დიდ წარმომადგენლებთან, მწერლებთან, პოეტებთან, მეცნიერების და ხელოვნების წარმომადგენლებთან. დიდ მწერლებთან ნოდარ დუმბაძესთან, ოტა იოსელიანთან ხომ მას განსაკუთრებული ურთიერთობა აკავშირებდა.

ბატონ სოკრატს ოჯახიც შესანიშნავი ჰყავდა. ქალბატონი მერი მეჯვირა – ფარმაცეპოლოგიური მეცნიერებათა დოქტორია; შვილი – თამუნა სალუქვაძე – ფარმაცეპტი. სიბე – ვაჟა ხუროშვილი, ცნობილი ინჟინერი; საუცხოო შვილიშვილები ლევანი, სოფო.

წავიდა ჩვენგან ქვეყნის წინაშე ვალმოხდილი, მამულიშვილი, რომლის ხსოვნა მარად დარჩება ჩვენს გულში.

**ფაზისის მშენებლობათა სამსახურის აკადემიკოსი, გავით „ალიონის“ რედაქტორი.**

ფაზისის მეცნიერებათა საერო აკადემია იუწყება ფარმაცევტულ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორის, ეროვნული უნივერსიტეტის პროფესორის, ფაზისისა და ეროვნული აკადემიების ნამდვილი წევრის, აკადემიკოს **სოკრატ სალუქვაძის** გარდაცვალებას და თანაუგრძობს განსვენებულის ოჯახს.

გახეთ „ალიონის“ რედაქცია იუწყება აკადემიკოს **სოკრატ სალუქვაძის** გარდაცვალებას და თანაუგრძობს განსვენებულის ოჯახს.

## სს „საქართველოს ბანკი“ აცხადებს ვაკანსიას ოზურგეთში გაყიდვების მენეჯერის თანამდებობაზე

### ძირითადი მოვალეობები:

- 1. ბანკის პოტენციური მომხმარებლებისთვის განვადების პროდუქტების შესახებ ინფორმაციის მიწოდება;
- 2. მომხმარებლებისთვის განვადების პროდუქტების შეთავაზება და განვადების პროცედურის განხორციელება.

### სავალდებულო საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

განათლება: უმაღლესი - სასურველია ფინანსები, ეკონომიკა, საბანკო საქმე, ბიზნეს ადმინისტრირება;

სამუშაო გამოცდილება: სასურველია, მაგრამ არასავალდებულო გაყიდვების და/ან მომსახურების სფეროში მუშაობის გამოცდილება.

### აუცილებელი ცოდნა და უნარები:

კომპიუტერული პროგრამები: MS Office (Word, Excel, Power Point), Internet); სასურველია ინგლისური და რუსული ენების ცოდნა; მომსახურების და გაყიდვების კარგად განვითარებული უნარები; კომუნიკაბელურობა, ორგანიზებულობა, გუნდური მუშაობის უნარი; პასუხისმგებლობისა და კონფიდენციალობის დაცვის უნარი; ყურადღება დეტალებს მიმართ, ემოციური წონასწორობა.

დანიტერესებულ კანდიდატებს გთხოვთ გამოგზავნოთ სს „საქართველოს ბანკის“ სააპლიკაციო ფორმა (შეგიძლიათ აიღოთ მისამართზე: ოზურგეთი, გურიის ქ. №18, სს „საქართველოს ბანკის“ ოზურგეთის სერვისცენტრი) ელექტრონული ფოსტით მისამართზე: რეგიონ-ჯობ ბოგვე (გამოგზავნის შემთხვევაში გთხოვთ მიუთითოთ ვაკანსიის დასახელება,


წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენი მონაცემები არ განიხილება)

მონაცემების დატოვება შეგიძლიათ შემდეგ მისამართზე:

**ოზურგეთი, გურიის ქ. №18, სს „საქართველოს ბანკის“ ოზურგეთის სერვისცენტრი**

**განაცხადების მიღების ბოლო ვადაა 10 ივლისი, 2012 წელი.**

## ბია გოგუაძის ხსოვნის ტურნირი კალათბურთში



ოზურგეთის სპორტის განვითარების ცენტრში გაიმართა სამშვიდობო მისიის შესრულების დროს ავღანეთში დაღუპული ქართველი ჯარისკაცის ვია გოგუაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი კალათბურთში.

ტურნირში ზუგდიდის, სენაკის, ზესტაფონისა და ოზურგეთის გუნდები მონაწილეობდნენ. პირველი შეხვედრა ოზურგეთისა და სენაკის გუნდებს შორის გაიმართა და მასპინძელთა გუნდის გამარჯვებით დაითავრა.

ზუგდიდელმა ზესტაფონლებს სძლიეს და ფინალში ოზურგეთლებს შეხვედნენ. მასპინძლებმა კვლავ გაიმარჯვეს და თასითა და დიპლომით დაჯილდოვდნენ.

ჟიურის გადაწყვეტილებით, საუკეთესო ტექნიკური მოთამაშების პრიზები და დიპლომები გადაეცათ ოზურგეთელ თორნიკე სურგულაძეს, სენაკელ რამაზ ხვიჩიას და ზუგდიდელ კახა ჭვდიას.

ამერიიდან ვია გოგუაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი ყოველწლიურად გაიმართება.